საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვეჯინის განძი



ვეჯინის განძი, თამარ მეფისა და დავით სოსლანის სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტების განძი (სულ 2759 ც., აქედან ქორონიკონიანია 2656 ც., უქორონიკონო – 103 ც.). ნაპოვნია 1924 სოფ. ვეჯინში (გურჯაანის მუნიციპალიტეტი), მონეტების შუბლზე ოთხსტრიქონიანი არაბული წარწერაა: „დედოფალი დედოფალთა, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემლისა"; ზურგზე – თამარისა და დავითის დაქარაგმებული სახელები და მოჭრის თარიღი ქორონიკონით 420 (1200). უქორონიკონო მონეტები კი მოჭრილი უნდა იყოს თამარისა და დავითის შეუღლებიდან (1189-იდან) დავითის გარდაცვალებამდე (1207).

ლიტ.: დ უ ნ დ უ ა გ., ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; ლ ო მ ო უ რ ი თ., თამარის ფულების განძი, «თსუ შრომები», 1936, ტ. 1.

ი. ჯალაღანია